საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1101 2019 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ პროექტ „Check in Georgia-ს“ ფარგლებში ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 აპრილის №883 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ პროექტ „Check in Georgia-ს“ ფარგლებში ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 აპრილის №883 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თბილისსა და რეგიონებში ზოგიერთი კულტურული, საგანმანათლებლო და სასპორტო ღონისძიების განხორციელების შესახებ“;

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დაევალოს სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, თბილისსა და რეგიონებში ზოგიერთი მნიშვნელოვანი კულტურული, საგანმანათლებლო და სასპორტო ღონისძიების ხელშეწყობის მიზნით, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებებიდან (პროგრამული კოდი: 24 05 02) განახორციელოს:

ა) პროექტ „Check in Georgia-ს“ ფარგლებში, ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით:

ა.ა) შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიასთვის“ (ს/კ: 405158804) – 6,500,000 (ექვსი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის გადარიცხვა (ღონისძიებების ჩასატარებლად);

ა.ბ) სსიპ – შემოქმედებითი საქართველოსათვის (ს/კ: 204583842) - 5 416 223 (ხუთი მილიონ ოთხას თექვსმეტი ათას ორას ოცდასამი) ლარის გადარიცხვა (ღონისძიებების ხელშესაწყობად);

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების, მათ შორის, სსიპ – შემოქმედებითი საქართველოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განსახორციელებლად, სსიპ – შემოქმედებითი საქართველოსათვის (ს/კ: 204583842) 2,683,777.00 (ორი მილიონ ექვსას ოთხმოცდასამი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის გადარიცხვა.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**